

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკის სამსახურის 2020 ანგარიში

ეკონომიკის განყოფილება:

ეკონომიკის განყოფილების მიერ შესრულდა 10522 კორესპონდენცია.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის საკითხებს და მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრების დაფიქსირებას მათი პრივატიზების, ან სარგებლობის უფლებით გაცემის საკითხს;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რეფორმით გაცემული და ქონების მოსარგებლების შესახებ; უძრავი ქონების განკარგვის და სარგებლობის უფლებით გაცემის საკითხს;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოდან სხვადასხვა შინაარსის საკითხებს;
- ინფორმაციის გამოთხოვას სხვადასხვა უწყებებიდან, მათ შორის: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდ; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ა.შ;
- საგადასახადო სამსახურის მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემულ მიწის გადასახადის გადამხდელთა სიებზე ინფორმაციის გამოთხოვის საკითხს;
- წიაღის ეროვნული სააგენტოდან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხს;
- ეროვნული სატყეო სააგენტოდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყით

სარგებლობის საკითხს;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ქონების რეგისტრაციის საკითხებს;

- სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ქონების რეგისტრაციის პროცესში წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვას;

ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილება:

ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მიერ შესრულდა 1700 კორექსონდენცია. - გაფორმებულია 2 ერთეული თხოვნების ხელშეკრულება მცხეთის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (მომზადდა ბრძანება, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი);

- გასაფორმებლად მომზადებულია 4 ერთეული უძრავი ქონების უზუფრუქტით გადაცემის ხელშეკრულება (მომზადდა ბრძანება, ხელშეკრულება);

- გაფორმებულია 6 ერთეული უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებისათვის სამუშაო პირობების შექმნის (განთავსების) მიზნით (მომზადდა ბრძანება, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი);

- ძლიერი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მოხდა დროებითი საცხოვრებელი ფართების დაქირავება, გაფორმდა 1 ერთეული ქირავნობის ხელშეკრულება (მომზადდა ბრძანება, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი);

- გაფორმდა 27 მიღება-ჩაბარების აქტი;
მომზადდა 111 ბრძანება;

-

გაფორმდა 4 ურთიერთშეთანხმების აქტი;

-

- საანგარიშო პერიოდში მცხეთის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოს მიერ ძირითადი ქონების სახით გადმოეცა 2-უძრავი , დამატებითი ქონების სახით-8, სარგებლობის უფლებით -1 ერთეული უძრავი ქონება.

- მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა 5 ერთეული.

- მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს თანხმობით სახელმწიფოს გადასცა 1 უძრავი და 2 მოძრავი ქონება.

- ამერიკის საელჩოს მიერ მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოეცა 2 ავტოსატრანსპორტო საშუალება და 1 ერთეული დამტვირთველი.

- ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საქმიანობა მიმდინარეობს 45 ერთეული ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით, აგრეთვე

მოქალაქეების და ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოსული განცხადებები მიწის ფართების აუქციონის წესით შესყიდვაზე.

- გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულია 4484 ლარის საკადასტრო აზომვითი და სხვა ანალოგიური სახის მომსახურება.

- 2020 წელში გამოცხადდა 19 ერთეული ელექტრონული აუქციონი და გაიყიდა 17 ერთეული უძრავი/მოძრავი, კერძოდ, 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და 14 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაც თანხობრივად შეადგენს - 674 143 ლარს და 08 თეთრს.

- დეკემბრის თვეში გამოცხადდა 5 ერთეული ელექტრონული აუქციონი, მათ შორის: 2 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება, 1 ერთეული შენობა-ნაგებობის იჯარა და 2 ერთეული ვადაგაგრძელებული აუქციონი სპეც. ტექნიკაზე, რომელიც დასრულდა 25 დეკემბერს და საგარანტიო თანხა ჩაირიცხა 3476 ლარი და 70 თეთრი.

- აუდიტის მიერ შეფასებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 24 ერთეული უძრავი (არასასოფლო მიწა) და 13 მოძრავი (ტრანსპორტი) ქონება.

